საქართველოს პარლამენტის ბიუროს

საკანონმდებლო წინადადება
(წარმოდგენილია საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის
105-ე მუხლის გათვალისწინებით)

ცვლილების სახეობა: საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილებების შეტანის შესახებ

საკითხი - პლენარულ სხდომაზე კითხვების დასასმელად თუ პოზიციების გასაჟღერებლად დამატითი ტექნოლოგიების გამოყენების დანერგვა. კანონის პროექტის მიღების დასაბუთება: მოცემული წინადადების განსახილვლ საკითხთა შორის საკითხი მომწიფდა[1] თუ არ ვცდები 2023 წლის 6 ოქტომბერს პარლამენტის სხდომათა დარბაზში ირაკლი ზარქუას მიერ გიორგი ვაშაძისადმი გამოყენებულმა აუდიო ჩანაწერის გაჟღერებამ[2] (ეხებოდა ონკოლოგიური დაავადების მქონე პირებს), რომელიც (ლოგიკურად) არ იქნა შეწყვეტილი პარლამენტში შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ (შესაბამისად, მართებულია ვიმსჯელოთ, რომ ასეთი ფორმით ინფორმაციის მოშველიება დასაშვები უნდა იყოს დებატებსა თუ სხვადასხვა საკითხის განხილვის ფარგლებში). ჩემთვის უცნობია თუ რატომ არ იყენებს მსგავსი სახის პოზიციონირებისათვის პარლამენტის წევრები პარლამენტში არსებულ ტაბლოსა თუ მონიტორს (თავისთავად ეთიკის დაცვა და მესამე პირთა პოზიციათა გაჟღერების აცილება სასურველი იქნებოდა[3]), თუმცა შესაძლოა ამის მიზეზი, როგორც პარლამენტში სხდომათა დარბაზში დამონტაჟებული ტექნიკა (დეპუტატებისთვის ან/და ტელემაყურბლებისათვის ვერ აკმაყოფილებდეს ვიზუალური აღქმის მოთხოვნებს), ასევე შესაბამისი რეგულაციების უქონლობა იყოს. აქვე, ხაზს გავუსვამ, რომ ანალოგიური მეთოდის გამოყენება ი. ზარქუას თუ სხვათა მხრიდან ხსენებულ წელიწადს არაერთხელ შემიმჩნევია - რაც ქმნის ტექნიკური მხარდაჭერის საჭიროების სურათს. აღნიშნულის პირობებში პარლამენტის წევრებისთვის შეიქმნება

[1] ხსენებულ საკითხზე მანამდეც მიმსჯელია ახლო წრეში და ვფიქრობ, რომ პარლამენტარიზმის ისტორიას ხსენებული პროცესი კიდევ უფრო მრავალფეროვანს გახდის.

[2] https://www.interpressnews.ge/ka/article/772612-irakli-zarkuam-plenarul-sxdomaze-giorgi-vashazes-kacmacuna-da-populisti-ucoda/

[3] ყოფილი თუ მოქმედი პრეზიდენტების (მიმართვების გავრცელების) შემთხვევის მოტანაც საკმარისი იქნებოდა, შესაბამისად - უნდა შეიზღუდოს მესამე პირთა, მითუმეტეს უცხო ქვეყნის მოქალაქეთა ვიდეო მიმართვები, თავისთავად მესამე პირთა პერსონალური ინფორმაციის უნებართვო გავრცელებაც.

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
შემოს.№ 1-666/24
25 01 2024 ფურცელი 2

დამატებითი კომფორტი მათ მიერ პოზიციონირებისა თუ ამა თუ იმ საკითხზე დასაბუთებული მსჯელობის წარმართვისათვის. მოკლე სიუჟეტის გაშუქება დაეხმარებოდა ქვეყნის ფარგლებს გარეთ მყოფ პირებს - მოახდინონ სხვადასხვა პოზიციების გაჟღერება დებატებისა თუ მინისტრის საათის/ უფლებამოსილი პირის ანგარიშის ფარგლებშიც[4]. თავისთავად ვიდეო სიუჟეტი, გარდა ეთიკური მოთხოვნებისა, უნდა აკმაყოფილებდეს დროით ფაქტორებს, იგი უნდა უყოს ლიმიტირებული, მომხსენებლის გამოსვლის ფორმატის გათვალისწინებით, თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში ალბათ იგი არ უნდა აღემატებოდეს 2 წუთიან პერიოდს. მხედველობაში არის მისაღები პარლამენტის რეგლამენტით მოწესრიგებული ფრაქციის მიერ სესიის განმავლობაში გამოსვლით სარგებლობის (53-ე მუხლი), პოლიტიკური დეპატების დროს, როგორც ფრაქციის, ისე უფრაქციო წევრების მიერ გამოსვლებით სარგებლობის (93-ე მუხლი), პარლამენტის წევრების მიერ პოლიტიკური განცხადებების გაკეთების შესაძლებლობის (94-ე მუხლი) ნორმები და სწორედ, რომ უპირველეს ყოვლისა მათში უნდა შევიდეს ცვლილებები იმდაგვარად, რომ დარეგულირდეს მომხსენებლის/ კითხვის დამსმელის მიერ მოკლე ვიდეო სიუჟეტის დამხმარე საშუალებად გამოყენების შესაძლებლობა[5]. ვფიქრობ, რომ ხსენებული ცვლილება ბევრად საინტერესოს გახდის პარლამენტის ფუნქციონირებას, მითუმეტეს - რომ მხარეებს ერთმანეთისათვის შესახსენებელი გაცილებით მეტი ექნებათ.

საკანონმდებლო წინადადების ავტორი/ ინიციატორი
ნიკოლოზ ნიკოლაძე პ/ნ [redacted] მობ.: [redacted];
ელ. ფოსტა [redacted] რეგისტრაციის
ადგილი: [redacted]



25/01/2024

---

[4] პროცედურის ორგანიზებას სავარაუდოდ უნდა უზრუნველყოფდეს პლენარული სხდომის თავმჯდომარე ან/და პარლამენტის ბიუროს უფროსი.

[5] მონიტორის თუ ტაბლოს გამოყენებით პარლამენტის წევრთა პოზიციონირების მხარდამჭერი პროცედურა თუ არ შედის საპროცედურო ინტერესში, მაშინ, ალბათ ასევე უნდა შეფასდეს ინდივიდუალურად მომხსნებელად გამომსვლელთა მიერ პირადი ტექნიკური საშუალებებით სიუჟეტური ინფორმაციის გაჟღერების დასაშვებობაც